სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**კონფლიქტოლოგია** Conflictology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**კონფლიქტოლოგიის მაგისტრი** Master of Conflictology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სამაგისტრო პროგრამა მოიცავს **120**[1] **კრედიტს (ECTS),** მათ შორის: • **პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები: 70 კრედიტი** • **სამაგისტრო ნაშრომი** (სავალდებულო): **30 კრედიტი** • **პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები: 20 კრედიტი** **სწავლების სემესტრი:** ოთხი, აქედან სამი სემესტრი ეთმობა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების გავლას, ხოლო მეოთხე სემესტრი სამაგიტრო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელები **კოორდინატორი**	**გუგული მაღრაძე,** ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი - პროფესორი; **რევაზ ჯორბენაძე,** ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი - პროფესორი **მარეხ დევიძე,** ფსიქოლოგი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სამაგისტრო პროგრამის ინტერდისციპლინურობიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამაზე დასაშვებია სხვადასხვა სფეროს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირთა მიღება, რომელთაც მოეთხოვებათ: ➢ საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;

[1] ***შენიშვნა:*** *სავალდებულო სასწავლო კურსებში 55 კრედიტი საკვანძო დარგობრივ სასწავლო კურსებს ეთმობა, 10 კრედიტი კი კვლევითი უნარების განვითარებას (სოციალური კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები).*
რამდენადაც სამაგისტრო ნაშრომიც კვლევითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს, ჯამში საკვანძო დარგობრივ სასწავლო კურსებისა და კვლევითი კომპონენტების კრედიტების თანაფარდობაა 55/40-ზე.
რაც შეეხება არჩევით სასწავლო კურსებს, რომელიც წარმოდგენილია 25 კრედიტით, სემესტრულად ისეა გადანაწილებული, რომ სტუდენტებმა თავისუფლად შეძლონ მათთვის სასურველი საგნის არჩევა (იხ. „პროგრამის სტრუქტურა“)

	➢ წერითი გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში; ➢ გაიარონ გასაუბრება სპეციალობასა და უცხოურ ენაში (დარგობრივი ინგლისური - ტექსტის წაკითხვა, გაგება, დისკუსია და პროდუცირება, რაც გულისხმობს უცხოური ენის ცოდნას სულ მცირე B[2] დონეზე) . • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად; • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. **მისაღები გამოცდების ფორმატი და საბოლოო ქულების გამოყვანის სტრუქტურა:** ➢ საერთო სამაგისტრო გამოცდა - საკმარისია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ბარიერების წარმატებით გადალახვა (მინიმალური ზღვარი); ➢ წერითი გამოცდა სპეციალობაში (60 - %) - მინიმალური ზღვარი 51 ქულა (100 ქულიდან); ➢ გასაუბრება სპეციალობაში (20 %) - მინიმალური ზღვარი 51 ქულა (100 ქულიდან); ➢ გასაუბრება უცხოურ ენაში (ინგლისური ენა B2) (20 %) - მინიმალური ზღვარი 51 ქულა (100 ქულიდან).
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს:** ➢ დამოუკიდებელი, მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები და ანალიტიკოსები, რომლებსაც ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა სხვადსხვა დონის და სახის კონფლიქტების სტრუქტურის, შინაარსის და დინამიკის ძირითად კანონზომიერებათა შესახებ; ➢ მკვლევარი/პრაქტიკოსები, რომელბსაც შეეძლებათ თავიანთი ცოდნის გამოყენება ისეთი კონფლიქტების ანალიზის, მოგვარების და პრევენციისთვის, როგორიცაა ინტერპერსონალური, ინტერჯგუფური, ოჯახური, სკოლის და საგანმანათლებლო სისტემის,

	ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური, სამხედრო (სტრატეგიული და უსაფრთხოების, ტერორიზმთან ბრძოლის, თავდაცვითი პოლიტიკის, ომების პრევენციის და საინფორმაციო უსაფრთხოების შესახებ პრაქტიკული და ემპირიული ცოდნა), ბიზნეს თუ სახელმწიფოთა შორის კონფლიქტები.
სწავლის შედეგები აღწერილი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად *ა) ცოდნა და გაცნობიერება* *ბ) უნარი* *გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:** 1. სისტემურად აღწერს და სიღრმისეულად განმარტავს კონფლიქტების ანალიზის და მართვის სფეროში არსებულ მრავალმხრივ, ძირითად და სისტემურ თეორიულ მიმართულებებს, პრობლემებს და დარგის კვლევის მეთოდებს; კონფლიქტების ანალიზის, დარეგულირების და მოგვარების კომპლექსურ საკითხებს და პრაქტიკული საქმიანობის შესაძლებლობებს; საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის პროცესებს; 2. კონფლიქტების კვლევის მეთოდების გამოყენებით ამუშავებს ემპირიული მასალის შედეგებს და დამოუკიდებლად აანალიზებს კონფლიქტებს; 3. დამოუკიდებლად გეგმავს, ატარებს და ხსნის (ინტერპრეტირებს) ფუნდამენტური და პრაქტიკული ხასიათის, მეცნიერულ თუ პრაქტიკულ კვლევებს; 4. ცოდნაზე დაფუძნებული ახალი იდეების შეჯამებით, კონფლიქტური სიტუაციის დიაგნოსტირებით, გამოყოფს პრობლემას და დასაბუთებული დასკვნების საფუძველზე მოიძიებს პრობლემური სიტუაციის ახლებურად გადაჭრის გზებს; 5. პრაქტიკული ან სამეცნიერო მუშაობისთვის კონფლიქტების ანალიზის და დარეგულირების სფეროსთან დაკავშირებით ამზადებს წერილობით და ზეპირ ანგარიშებს, პრეზენტაციის სახით წარუდგენს დაინტერესებულ პირებს (სპეციალისტებს და არა სპეციალისტებს), ერთვება დებატებსა და დისკუსიებში საკუთარი პიზიციის დაცვით; 6. ერთვება რეალურ კონფლიქტში მესამე მხარედ, განიხილავს საფრთხეებს და შეიმუშავებს სადავო საკითხებზე რეკომენდაციებს; 7. გეგმავს საკუთარი სწავლის პროცესს მიზანმიმართულად, შემდგომი სწავლის გაგრძელების საჭიროებებიდან გამომდინარე

	პროფესიული სრულყოფის მიზნით ცვალებად გარემოსთან მიმართებით; 8. იცავს, აფასებს, ავრცელებს ღირებულებით ორიენტაციებს *(სოციალური სამართლიანობა, ტოლერანტობა, ადამიანის უფლებები, სიძულვილის ენის არგამოყენება, ეთნიკური უმცირესობების პატივისცემა და სხვა)* და პატივს სცემს სხვების პროფესიულ ღირებულებითი ორიენტაციის პოზიციას *(მათ მიმართ მიმღებლობა და სიახლეების ხელშეწყობა);* 9. აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით მოიძიებს და სხვადასხვა რაკურსით გამოიყენებს კონფლიქტთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის ქვეყნის საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის ნაწილში.
სწავლება-სწავლის მეთოდები	**სწავლის შედეგების მიღწევის ძირითადი მეთოდები:** ლექცია; სემინარი; ჯგუფური მუშაობა; ვერბალური და წერითი მუშაობის მეთოდი; როლური თამაშები; დისკუსია/ დებატები; პრეზენტაცია; ტრენინგი; სიტუაციური ანალიზი; სიმულაციები; წიგნზე მუშაობა; დემონსტრირების მეთოდი; ახსნა-განმარტების მეთოდი; შემთხვევის ანალიზი; გონებრივი იერიში; პრაქტიკა და გამოცდილებითი სწავლა-სწავლების მეთოდი; ელექტრონული სწავლება[2] (E-learning). სასწავლო კურსის თემატიკისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესორი ირჩევს სასწავლო კურსის შესაბამის სწავლა-სწავლების მეთოდ(ებ)ს.
შეფასების სისტემა	სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. *შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან **(100 ქულა)** განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.*

[2] ელექტრონული სწავლება - https://bit.ly/3z1JWTG

	დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. **შეფასების სისტემა უშვებს:** ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: **(A) ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა; **(B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; **(C) კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; **(E) საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: **(FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; **(F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ **5 დღეში.** სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ

	სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50% (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). **სამაგისტრო ნაშრომის შეფასება** **სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.** **სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.** სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - **(FX) (ვერ ჩააბარა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - **(F) (ჩაიჭრა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას[3].“ კომისიის გადაწყვეტილება საბოლოა. **სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფორმები:** • აქტუალობა - 5 ქულა • კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა • ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა • ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა • ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა • ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა სულ - 100 ქულა **სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:** **ა) აქტუალობა - 5 ქულა** (ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე). **ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა**

[3] https://bit.ly/3kDfjht - სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი

	(ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა). **გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა** (ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი). **დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა** (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა). **ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა** (ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა). **ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა** (ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე). ***შენიშვნა:*** *რეცენზენტი რეკომენდაციის გაცემისას ხელმძღვანელობს ზემოთ მოცემული კრიტერიუმებით, გარდა ვ) პუნქტისა.*
დასაქმების სფეროები	კონფლიქტოლოგიის მაგისტრების დასაქმების სფერო ვრცელია. **კონფლიქტოლოგიის მაგისტრებს შეუძლიათ იმუშაონ:**

	✓ ყველა სფეროში, სადაც მნიშვნელოვანია კონფლიქტების პრევენცია, მოგვარება, მართვა; ✓ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო და კერძო ორგანიზაციებში, ადგილობრივ თემში, სასწავლო დაწესებულებებში და სხვაგან წამოჭრილი სადაო საკითხების მოსაგვარებლად; ✓ სხვადასხვა თანამდებობის მქონე მუშაკთა მომზადებაში სათანადო ტრენინგების საშუალებით (რათა მათ შეძლონ თავიდან აიცილონ კონფლიქტური სიტუაციები ან კონფლიქტის შემთხვევაში მოაგვარონ წამოჭრილი კონფლიქტები მოლაპარაკების და კონფლიქტის მოგვარების სხვა ალტერნატული მეთოდების გამოყენებით, მაგ: მედიაცია, რითაც მნიშვნელოვნად უმჯობესდება ნებისმიერი დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა); ✓ როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში (შეუძლიათ ინტენსიურად იყვნენ ჩართული საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარებასა და პრევენციაში); ✓ კვლევით ცენტრებში თავისი კომპეტენციის ფარგლებში; ✓ ადგილობრივი და საერთაშორისო უსაფრთხოების სამსახურებში; ✓ ქვეყნის საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის სფეროში.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესორ-მასწავლებლებით, ადამინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით.

	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური მიღწევები და სამეცნიერო საქმიანობა საჯარო ინფორმაციაა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ვებ-გვერდზე https://www.tsu.ge/ - https://bit.ly/3rY7YxG პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი: • **პროფესორი** - 3 (გუგული მაღრაძე, რევაზ ჯორბენაძე, ნოდარ ბელქანია) • **ასოცირებული პროფესორი** - 3 (ზურაბ აბაშიძე, თეონა მატარაძე, ნათელა დონაძე) • **ასისტენტ-პროფესორი** - 1 (ლაშა ტუღუში) • **მოწვეული ლექტორი** - 4 (ვახტანგ მაისაია, დარეჯან აფციაური, მარეხ დევიძე, ივანე კეჭაყმაძე). **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:** • კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების 235-ე სამუშაო ოთახი/აუდიტორია (თსუ II კორპუსი), რომელშიც ტარდება სალექციო კურსები და მეცადინეობები სტუდენტებთან და სადაც ასევე განთავსებულია კონფლიქტოლოგიის პროგრამის ტექნიკური აღჭურვილობა, კომპიუტერები, მცირე ზომის (მინი) ბიბლიოთეკა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე; • კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამის 234-ე აუდიტორია (თსუ II კორპუსი), რომელიც დატვირთულია სასწავლო ცხრილით; • თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; • თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი); • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; https://e-learning.tsu.ge/ • თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს წვდომა აქვთ როგორც ფასიან, ასევე უფასო ელექტრონულ ჟურნალებსა და ბაზებზე: **EBSCO Publishing**, JSTOR, Scopus (ელსევიერის ბაზა), Sciencedirect (ელსევიერის ბაზა), Web of Science

	(WoS), Cambridge University Journals. (კემბრიჯის უნივერსიტეტის ჟურნალები), SAGE Knowledge --- Springer Link., Erudit, Oxford English Dictionary Online, World Digital Library, Palgrave Connect და ა.შ. იხ.: https://www.tsu.ge/ka/library/page/894 • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა (მ.ალექსიძის II შესახვევი, №3) და სხვა. პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თსუ I, II და VI კორპუსებში, რომლებიც განთავსებულია თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე № 1, №3 და № 8 ნომრებში.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსურ მდგრადობას უზრუნველყოფს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გაწერილია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტში.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. • სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება. სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin"-ის (https://www.turnitin.com/) გამოყენებით. ამ მიზნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს

	სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე http://e-learning.tsu.ge/ . ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომელიც ამოწმებს სამაგისტრო ნაშრომს „პლაგიატზე“, ხელმძღვანელობს "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტით“. სამსახური, დაცვამდე 9 კალენდარული დღით ადრე, ნაშრომების ელექტორნულ ვერსიას უგზავნის რეცენზენტს და კომისიას. ნაშრომში შესაბამისი ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში სასწავლო პროცესის მართვის სამსახური წერილობით აცნობებს სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიას რეაგირების მიზნით. ნაშრომში აკადემიური არაკეთილსინდისიერების გამოვლენის შემთხვევაში კომისიის წევრები უფლებამოსილნი არიან მიიღონ შემდეგი გადაწყვეტილება: ა) მაგისტრანტი დაშვებულ იქნეს დაცვაზე და ხარვეზები აისახოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში; ბ) მაგისტრანტი არ იქნეს დაშვებული დაცვაზე; გ) მაგისტრანტის საკითხი განიხილოს ეთიკის კომისიამ. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში მაგისტრანტის ხელმძღვანელმა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს უნდა გაუგზავნოს წერილობითი თანხმობა მაგისტრანტის დაცვაზე დაშვების თაობაზე. *აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი:* (https://tsu.ge/assets/media/files/71/academic/372020_d1.pdf)
დამატებითი ინფორმაცია	სამაგისტრო პროგრამა კონფლიქტოლოგია (ყოფილი „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“) შემუშავებულია[4] აშშ ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტის ანალიზის

[4] **პროგრამის ანალოგები** (იხ. ლინქები):

- George Mason University (USA) – http://icar.gmu.edu/
- American University (USA) - http://www.american.edu/sis/programs/MA-IPCR-and-Teaching.cfm
- Maryland University (USA) http://www.inform.umd.edu/EdRes/Topic/Diversity/Response/UM/articles/out.html
- Harvard University(USA) - http://www.pon.harvard.edu/category/dispute-resolution-directory/
- Johns Hopkins University(USA) - http://www.sais-jhu.edu/academics/functional-studies/conflict-management/courses.htm
- University of Denver (USA) - http://www.du.edu/con-res/grad_program/index.html

	და გადაჭრის ინსტიტუტსა და აშშ დენვერის უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ცენტრთან თანამშრომლობის და კონსულტაციების საფუძველზე, რომელთა პროფესორებთან დღემდე გრძელდება ურთიერთანამშრომლობა. საქართველოში ამ პროგრამის ანალოგი არ ფუნქციონირებს. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ყოველწლიურად შეუძლია მიიღოს საშუალოდ 30 სტუდენტი. ➢ მაგისტრანტს ყავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელ(ებ)ი. ➢ მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ან/და კონკრეტული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოწვეული პედაგოგი. ➢ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი კონსულტაციას უწევს მაგისტრანტს საკვლევი თემის განსაზღვრასა და შერჩევაში, კვლევის დიზაინის ჩამოყალიბებაში, კვლევითი აქტივობის დაგეგმვაში, ნაშრომის სტრუქტურულ, სტილისტურ და აკადემიურ გაფორმებაში. ➢ სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი დაცვისა და დაცვის კომისია მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით. კომისია შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან. კომისიის წევრი შეიძლება იყოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი. თეზისის დაცვის პროცესი საჯაროა აკადემიური და აკადემიის გარე აუდიტორიისათვის.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

მიმართულება: ინტერდისციპლინური

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: კონფლიქტოლოგია

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები: გუგული მაღრაძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
რევაზ ჯორბენაძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კოორდინატორი: მარეხ დევიძე, ფსიქოლოგი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 26/07/2022, №: 61/2022 და 07/10/2022, №95/2022 (დანართი 256, ყოფილი დანართები 233 და 44)

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, აკრედიტაციის ვადა და ბმული): №1149154; 09/09//2022 – 31/12/2028
https://eqe.ge/ka/deqars/767/show

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2022 წლის შემოდგომის სემესტრი

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების[5] ნომერი და თარიღი): №24/2023 – 20/03/2023; №62/2024 – 29/04/2024; №113/2024 – 09/09/2024.

[5] https://www.tsu.ge/ka/legalakad

პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი 120 კრედიტი (ECTS)														
სავალდებულო სასწავლო კურსები - 70 კრედიტი (ECTS), სამაგისტრო ნაშრომი (სავალდებულო) - 30 კრედიტი (ECTS)														
№	კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი				ლექტორი/ ლექტორები
				საკონტაქტო		გამოცდის დრო (შუალედური და დასკვნითი)	დამოუკიდებელი	სულ		I	II	III	IV	
				ლექცია	სემინარი/ სამუშაო ჯგუფი									
1		კონფლიქტოლოგია	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓				პროფესორი გუგული მაღრაძე
2		კონფლიქტების ანალიზი და ფასილიტაცია	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓				პროფესორი რევაზ ჯორბენაძე

3		კონფლიქტები „ცივი ომისა“ და მის შემდგომ პერიოდში(1945-1999)	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓				ასოც. პროფესორი ზურაბ აბაშიძე
4		სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓				ასოც. პროფესორი თეონა მატარაძე
5		დარგობრივი ინგლისური ენა 1	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓				მოწვეული ლექტორი დარეჯან აფციაური
6		კონფლიქტის ტრანსფორმაცია	5	30	15	5	75	125	კონფლიქტოლოგია		✓			პროფესორი გუგული მაღრაძე
7		საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა	5	15	30	6	74	125	წინაპირობის გარეშე		✓			მოწვეული ლექტორი ვახტანგ მაისაია
8		მოლაპარაკების ხელოვნება	5	15	30	5	75	125	კონფლიქტოლოგია		✓			პროფესორი რევაზ ჯორბენაძე
9		სოციალური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓			ასოც. პროფესორი თეონა მატარაძე
10		კონფლიქტის გლობალური კონტექსტი	5	30	15	5	75	125	კონფლიქტოლოგია		✓			პროფესორი გუგული მაღრაძე
11		მშვიდობის მშენებლობა	5	30	15	5	75	125	კონფლიქტოლოგია			✓		პროფესორი გუგული მაღრაძე
12		საერთაშორისო კონფლიქტები	5	30	15	5	75	125	დარგობრივი ინგლისური ენა 1			✓		ასისტენტ-პროფესორი ლაშა ტუღუში

13		მედიაცია	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე			✓		პროფესორი რევაზ ჯორბენაძე მოწვეული ლექტორი მარეხ დევიძე
14		სამაგისტრო კვლევის დიზაინი	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე			✓		პროფესორი რევაზ ჯორბენაძე; ასოც. პროფესორი ნათელა დონაძე; მოწვეული ლექტორი მარეხ დევიძე
15		სამაგისტრო ნაშრომი	30	30			720	750	მინიმუმ 80[6] კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსის კრედიტები)				✓	სამაგისტრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი
არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი (ECTS)														
1		ეკონომიკური ფაქტორების როლი კონფლიქტების ტრანსფორმაციაში	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓				ასისტენტ-პროფესორი ლაშა ტუღუში
2		აღმოსავლეთის და დასავლეთის ცივილიზაციები	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓				პროფესორი ნოდარ ბელქანია
3		სოციალური ჯგუფები, ინტერაქცია და კონფლიქტი	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓				მოწვეული ლექტორი

[6] გათვალიწინებულია დამამთავრებელ სემესტრში 40 კრედიტის აღების შესაძლებლობა

														მარეხ დევიძე
4		პოლიტიკური კონფლიქტების მართვა	5	15	15	5	90	125	კონფლიქტოლოგია		✓			პროფესორი რევაზ ჯორბენაძე
5		სოციალური ფსიქოლოგია	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓			პროფესორი გუგული მაღრაძე; პროფესორი რევაზ ჯორბენაძე მოწვეული ლექტორი მარეხ დევიძე
6		საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგია	5	15	15	6	89	125	წინაპირობის გარეშე		✓			მოწვეული ლექტორი ვახტანგ მაისაია
7		დარგობრივი ინგლისური ენა 2	5	15	30	5	75	125	დარგობრივი ინგლისური ენა 1		✓			მოწვეული ლექტორი დარეჯან აფციაური
8		კონფლიქტების პრევენცია და მართვა საგანმანათლებო სისტემაში	5	30	15	5	75	125	კონფლიქტოლოგია		✓			პროფესორი გუგული მაღრაძე
9		პოპულიზმი და მისი გავლენა თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებზე	5	30	15	6	74	125	დარგობრივი ინგლისური ენა 1		✓			ასისტენტ-პროფესორი ლაშა ტუღუში
10		სამხედრო პოლიტოლოგია	5	15	30	6	74	125	წინაპირობის გარეშე			✓		მოწვეული ლექტორი ვახტანგ მაისაია

11		სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის (SPSS)	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე			✓		მოწვეული ლექტორი ივანე კეჭაყმაძე
12		ჰიბრიდული ომის თეორია და პრაქტიკა	5	15	15	6	89	125	წინაპირობის გარეშე			✓		მოწვეული ლექტორი ვახტანგ მაისაია
13		ომი, ძალადობა და კონფლიქტის მართვა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე			✓		პროფესორი რევაზ ჯორბენაძე
14		საინფორმაციო უსაფრთხოების სტრატეგია და ფსიქოლოგიური ომი	5	15	30	6	74	125	კონფლიქტოლოგია			✓		პროფესორი გუგული მაღრაძე

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი